პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 16 მაისი, 1947 წ. № 97 (7881). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

პროფკავშირების საანგარიშო-საარჩევნო კამპანია და პარტიული ორგანიზაციების ამოცანები. „პრავდის" მოწინავე (1-ლი გვერდი).
პ. ჭიოკაძე — საბჭოთა კავშირის საუკეთესო მაღაროში (1-ლი გვერდი).
ვ. გელაშვილი — იქვე, პარტიის რაიკომის მახლობლად (მე-2 გვერდი).
დ. ამირანაძე — საუკეთესო მანქანები სოციალისტურ სოფლის მეურნეობას (მე-2 გვერდი).
ს. თავაძე — უხვი მოსავლის ოსტატები (მე-2 გვერდი).
ა. ა. გრომიკოს სიტყვა უშიშროების საბჭოს 12 მაისის სხდომაზე (მე-3 გვერდი).
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სპეციალურ სესიაზე (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

პროფკავშირების საანგარიშო-საარჩევნო კამპანია და პარტიული ორგანიზაციების ამოცანები

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს ამას წინათ შემდგარმა პლენუმმა დაადგინა წელს ჩაატაროს პროფესიული კავშირების საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკური, საგზაო, საბაზო და ცენტრალური კომიტეტების ანგარიშგება და არჩევნები. ამ მნიშვნელოვან მასობრივ-პოლიტიკურ და ორგანიზაციულ ღონისძიებას წინ უძღოდა პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კამპანია. არჩეულია საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტები. ახლა არჩეულ უნდა იქნან ხელმძღვანელი პროფკავშირული ორგანოები, რომლებიც მოწოდებული არიან დიდი როლი შეასრულონ პროფესიული კავშირების მთელი მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებაში.

საბჭოთა პროფკავშირები მუშათა კლასის ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი ორგანიზაციაა, იგი არის ამძრავი ღვედი მასებთან პარტიის დასაკავშირებლად, კომუნიზმის სკოლა, მმართველობის სკოლა. ჩვენს პარტიას პროფესიული ორგანიზაციები მიაჩნია თავის აქტიურ თანაშემწედ და თავისი ხაზის გამტარებლად. საკავშირო კ. პ. (ბ) XVI ყრილობამ აღნიშნა, რომ „პროფკავშირებს, როგორც ყველაზე ფართო მასობრივ პროლეტარულ ორგანიზაციებს, პირველ რიგში ეკისრებათ სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ამოცანების გარშემო მასების მობილიზებისა და დარაზმვის ამოცანა..." საბჭოთა პროფკავშირები აქტიურ მონაწილეობას იღებენ ჩვენი ხალხის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა დარგში და უდიდესია მათი როლი სოციალისტური მშენებლობის წარმატებათა მოპოვებაში.

ახალი ხუთწლედით დასახული ამოცანები გადიდებულ მოთხოვნებს უყენებენ პროფესიულ ორგანიზაციებსაც, მათი ძალები მიმართულ უნდა იქნან იმისაკენ, რომ უდიდესი წარმატებით განხორციელდეს სტალინური ხუთწლიანი გეგმა, რომელიც საბჭოთა ადამიანების საარსებო საქმე გახდა. აი ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ პროფკავშირთა საანგარიშო-საარჩევნო კამპანია ჩატარდეს მაღალ ორგანიზაციულ და პოლიტიკურ დონეზე, რომ ამ კამპანიის პერიოდში ყოველმხრივ და ღრმად შემოწმდეს ხელმძღვანელი პროფკავშირული ორგანოების წარსული და ახლანდელი მუშაობა, რომ ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის საფუძველზე გამოაშკარავებულ იქნას მათი მუშაობის ნაკლოვანებანი. ხელმძღვანელობისათვის უნდა დავაწინაუროთ ისეთი კადრები, რომელთაც უნარი შესწევთ პროფკავშირული მუშაობა აიყვანონ ხუთწლედის ამოცანების შესაფერის ახალ, უფრო მაღალ დონეზე.

პარტიული ორგანიზაციების პირდაპირი მოვალეობა ის არის, რომ დღითი დღე არსებითად სწვდებოდნენ პროფკავშირების მუშაობას, იცნობდნენ მათს საჭიროებას, ეხმარებოდნენ მათ და, როცა საჭიროა, გაუსწორონ მათ. პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან იცოდნენ რა ასულდგმულებთ პროფკავშირებს და რას აკეთებენ ისინი, ხელი უნდა შეუწყონ მათი მუშაობის გაუმჯობესებას, მათი ავტორიტეტის გაძლიერებას, იბრძოდნენ იმისათვის, რომ პროფკავშირული ორგანიზაციები მუშაობდნენ ჯეროვნად, რომ ისინი შეჯიბრებაში აბამდნენ მშრომელთა ფართო მასებს, საქმით აღწევდნენ მუშებისა და მოსამსახურეების კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებას.

საყოველთაოდ ცნობილია ის მნიშვნელოვანი მუშაობა, რასაც პროფესიული ორგანიზაციები ეწევიან. მაგრამ არანაკლებ ცნობილია მათი არსებითი ნაკლოვანებანიც. მასებთან სუსტი კავშირით, თავიანთ ძირითად მოვალეობათა შეუსრულებლობით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის დროს ბევრი მათგანის მუშაობა არადამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი. მაგალითად, ცენტრისა და სამხრეთის ხე-ტყის სახერხი და ხის დამმუშავებელი მრეწველობის საწარმოთა 211 პროფორგანიზაციიდან 74 პროფორგანიზაციის მუშაობა ცნობილია არადამაკმაყოფილებლად.

პროფესიული კავშირების ორგანიზაციები რეგულარულად არ იწვევენ მუშებისა და მოსამსახურეების კრებებს მიმდინარე საწარმოო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო საკითხების განსახილველად, იშვიათად აბარებენ მათ თავისი მუშაობის ანგარიშს. ზოგიერთ საწარმოში საერთო კრებები ფორმალურად ტარდება. ხარკოვის ქარხანა „სერპ ი მოლოტის" მექანიკურ-საამწყობო საამქროში კრებები სასადილო შესვენების დროს ეწყობა. კრებები 15-20 წუთს გრძელდება. ცხადია, რომ მუშებს ასეთ კრებებზე არ შეუძლიათ გამოსთქვან აზრი, გამოააშკარაონ მუშაობის ნაკლოვანებანი, შეიტანონ თავიანთი წინადადებანი. საერთო კრებები უნდა იწვეოდეს რეგულარულად და არა შემთხვევის მიხედვით. მუშათა კრებებზე ფართოდ უნდა განიხილოთ წარმოების, მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და პოლიტიკური აღზრდის საკითხები.

პროფკავშირთა საორგანიზაციო მუშაობას სერიოზული განმტკიცება ესაჭიროება. არ შეიძლება, მაგალითად, შეწყნარებულ იქნას ის გარემოება, რომ ათიათასობით მუშა და მოსამსახურე პროფკავშირის წევრი არ არის. ეს სერიოზული ხარვეზია, რაშიც ბრალი მიუძღვით არა მარტო პროფორგანიზაციებს, არამედ აგრეთვე ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს, რომლებიც ზერელედ ახორციელებენ პროფკავშირებისადმი ხელმძღვანელობას.

პროფესიული კავშირები სხვადასხვა საკითხზე იღებენ ბევრ გადაწყვეტილებას, მაგრამ მუდამ როდი მიჰყავთ ისინი ბოლომდე. შესრულების შემოწმება ცუდად არის დაყენებული. სამრეწველო საწარმოებში ამას წინათ დაიდო კოლექტიური ხელშეკრულებანი. ამ ხელშეკრულებათა შესრულების შემოწმება უნდა ხდებოდეს არა წლის ბოლოს, არამედ მუშაობის მსვლელობაში, დღითი დღე და, თუ კი ირღვევა ამა თუ იმ ხელშეკრულების მუხლის შესრულების ვადა, — დაუყოვნებლივ უნდა იქნას მიღებული ღონისძიება ამის წინააღმდეგ. პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობა უნდა შეფასდეს არა მათ მიერ მიღებული რეზოლუციების რაოდენობის მიხედვით, არამედ იმის მიხედვით, თუ ნამდვილად როგორ ახორციელებენ ისინი ზრუნვას მშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურებისათვის, როგორ აწყობენ შეჯიბრებას. საჭიროა სამეურნეო მუშაკებთან ერთად მიღებულ იქნას ენერგიული ღონისძიებანი საბინაო მშენებლობის გასაძლიერებლად, საჭიროა ბრძოლა სასადილოებისა და მაღაზიების მუშაობის გასაუმჯობესებლად, საერთო საცხოვრებლების წესრიგზე მოსაყვანად, საბავშვო ბაღების, აბანოების, სამრეცხაოების, სამკერვალო და შემკეთებელი სახელოსნოების, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების ქსელის გასაფართოებლად.

მილიონობით მუშამ და მოსამსახურემ ლენინგრადელთა მოწოდებით დაიწყო შეჯიბრება დიდი ოქტომბრის 30 წლისთავისათვის წლიური გეგმის ვადამდე შესასრულებლად. პროფკავშირთა პირდაპირი ვალია დაეხმარონ მათ თავიანთ ვალდებულებათა შესრულებაში, უზრუნველჰყონ შეჯიბრების მასობრიობა. ფართოდ გაავრცელონ მოწინავე მუშების, საუკეთესო ბრიგადების, ცვლების, საამქროებისა და საწარმოების გამოცდილება.

მთელი პროფკავშირული მუშაობის წარმატება დამოკიდებული იქნება პროფკავშირულ ორგანიზაციებში კრიტიკისა და თვითკრიტიკის დონეზე. სამწუხაროდ, პროფკავშირთა ზოგიერთი ცენტრალური კომიტეტი არ გვიჩვენებს მათკენ მიმართული კრიტიკისადმი ბოლშევიკური დამოკიდებულების მაგალითს. სამხრეთის რკინიგზების მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის აპარატში აღმოჩნდნენ შემთხვევითი, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში აშკარად უვარგისი კადრებიც კი. ამ კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ციმბალი ყურს არ უგდებს ქვემოდან წამოსულ კრიტიკას, იცავს უვარგის მუშაკებს, არასაკმაოდ გაბედულად ასწორებს გამოაშკარავებულ ნაკლოვანებებს, არ სპობს მაამებლობასა და მლიქვნელობას. კრიტიკას არ ითმენს აგრეთვე ცენტრის სამედიცინო და სანიტარული შრომის მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. გურტოვოი. ამ კავშირის ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო მუშაობა უყურადღებოდ არის მიტოვებული, იმ საწარმოთა და დაწესებულებათა მუშებისა და მოსამსახურეების 20-მდე პროცენტი, რომელთაც კავშირი აერთიანებს, პროფკავშირის წევრები არ არის. ამხ. გურტოვოი ცდილობს თავიდან მოიშოროს მისთვის არასასიამოვნო მუშაკები იმის ნაცვლად, რომ ბოლშევიკურად გამოეხმაუროს კრიტიკას და აღმოფხვრას მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი.

პარტიულმა ორგანიზაციებმა ხელი უნდა შეუწყონ იმას, რომ სანიმუშოდ ჩატარდეს ხელმძღვანელი პროფკავშირული ორგანოების ანგარიშგება და არჩევნები, რაც მახლობელ დღეებში დაიწყება. ამოცანა ის არის, რომ ეს მნიშვნელოვანი კამპანია ჩატარდეს ფართო პროფკავშირული დემოკრატიის, მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აშკარა და პატიოსანი კრიტიკისა და თვითკრიტიკის საფუძველზე. პროფკავშირული ორგანოების შემადგენლობაში არჩეულ უნდა იქნან საუკეთესო ადამიანები, რომელთაც უნარი შესწევთ ნამდვილად გაატარონ პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკა. ეს ხელს შეუწყობს პროფკავშირთა მუშაობის გაუმჯობესებას, განამტკიცებს მათს კავშირს მასებთან, აამაღლებს მათს როლს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომი განმტკიცებისა და ხალხის კეთილდღეობის ზრდისათვის ბრძოლაში.

„პრავდის" 15/V მოწინავე

ობელისკი საბჭოთა არმიის პატივსაცემად

ვლადივოსტოკი, 13 მაისი. (საკდესი). ფხენიანში ზეიმით გაიხსნა კორეელი ხალხის მიერ საბჭოთა არმიის პატივსაცემად აღმართული მონუმენტი. მარმარილოს ვებერთელა ობელისკზე ამოკვეთილია იაპონელი იმპერიალისტების უღლისაგან კორეელი ხალხის განთავისუფლებისათვის გმირი საბჭოთა მეომრებისადმი, დიდი სტალინისადმი მხურვალე მადლობის სიტყვები.

ობელისკის გახსნას, რაც დიდ სახალხო დღესასწაულად გადაიქცა, დაესწრო 20 ათასამდე კორეელი, კორეის დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლები და საბჭოთა არმიის ოფიცრები.

ახალი სპეციალური ავტომობილები

საავტომობილო მრეწველობის საწარმოებში მზადდება სახალხო მეურნეობის საჭიროების მომსახურებისათვის განკუთვნილი მთელი რიგი სპეციალიზებული ავტომობილების წარმოება.

უახლოეს ხანში მოსკოვისა და გორკის ავტოქარხნები გამოუშვებენ პირველ ჩქარ სასწრაფო დახმარების ავტომობილებსა და სანიტარულ ავტობუსებს. საკონსტრუქტორო ბიუროებში აპროექტებენ მსუბუქი მანქანების — ტაქსის ახალ ტიპებს.

სამრეწველო საწარმოებისა და ქალაქის მეურნეობისათვის საჭიროა დიდძალი თვითდასაცლელი ავტომობილები. წელს ასეთი მანქანების წარმოება მნიშვნელოვნად დიდდება. მზადდება ერთტონიანი და სამტონიანი თვითდასაცლელი ავტომობილები. სწარმოებს მზადება ხუთტონიანი დიზელიანი თვითდასაცლელი ავტომობილების გამოსაშვებად.

გადაწყდა დიდი რაოდენობით დამზადდეს ავტომატარებლები მისაბმელებითა და ნახევარმისაბმელიანი ავტოსაწევრებით — ადგილობრივი ტვირთზიდვისათვის.

ქარხნებში სწარმოებს მზადება იმისათვის, რომ მოეწყოს ისეთი ავტომობილების გამოშვება, რომლებსაც ექნება სპეციალური დანადგარები—სახანძრო ავტოტუმბოები, ავტოამწეები, სარემონტო ბაზები, მოძრავი ელექტროსადგურები. (საკდესი).

გაზის ახალი საბადო

კუიბიშევი, 13 მაისი. (საკდესი). დამთავრდა პირველი ჭაბურღილის ბურღვა კუიბიშევისა და ჩკალოვის ოლქების საზღვარზე სულტანგულოვის რაიონის გაზის ახალ საბადოში. ჭაბურღილი ასიათასობით კუბურ მეტრ გაზს იძლევა დღე-ღამეში. იბურღება კიდევ მთელი რიგი ჭაბურღილები.

წლის დამლევისათვის სულტანგულოვის გაზის სარეწი გადაცემულ იქნება საექსპლოატაციოდ.

საგზაო მშენებლობაში დაწინაურებულნი

რესპუბლიკურმა ჟიურიმ, რომელსაც თავმჯდომარეობს ამხ. ზ. კეცხოველი, განიხილა რესპუბლიკური და რაიონული მნიშვნელობის გზების მშენებლობისა და მოვლა-პატრონობის დარგში სოციალისტური შეჯიბრების 1947 წლის პირველი კვარტალის შედეგები.

ჟიურიმ გამარჯვებულად სცნო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზათა მთავარ სამმართველოს მე-5 საგზაო საექსპლოატაციო უბნის კოლექტივი, (უბნის უფროსი ამხ. აფხაზავა), რომელსაც გადაეცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია 10.000 მანეთის რაოდენობით.

რაიონული გზების მოვლა-პატრონობაში კარგი მაჩვენებლების მიღწევისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები და ფულადი პრემიები თითოეულს 10.000 მანეთის რაოდენობით მიეკუთვნათ აღმოსავლეთ საქართველოში ქარელის რაიონს (რაიონული საბჭოს აღმასკომის საგზაო განყოფილების გამგე ამხ. ჯაბაური), ხოლო დასავლეთ საქართველოში დროშა დარჩა ზემო სვანეთის რაიონს, რომელიც მას კარგი მუშაობისათვის გადაეცა 1946 წლის მეოთხე კვარტალში (საგზაო განყოფილების გამგე ამხ. ჭელიძე).

ჟიურიმ აღნიშნა თელავის, სტალინირის და ლანჩხუთის რაისაბჭოს აღმასკომების საგზაო განყოფილებათა კოლექტივების კარგი მუშაობა 1947 წლის პირველ კვარტალში.

საბჭოთა კავშირის საუკეთესო მაღაროში

ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივი მიმდინარე წლის მარტში საბჭოთა კავშირში პირველ ადგილზე გამოვიდა, მოიპოვა საბჭოთა კავშირის საუკეთესო მაღაროს სახელი და მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. მაღარო უფრო ნაყოფიერად მუშაობდა აპრილში. სასაქონლო პროდუქციის დამზადების გეგმა შესრულებულია 105,2 პროცენტით, შრომის ნაყოფიერებისა: მაღაროში — 109 პროცენტით, გამამდიდრებელ ფაბრიკაში—111 პროცენტით. ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ მაღაროს კოლექტივმა შესწყვიტა მეორე, მესამე და მეოთხე ხარისხის მარგანეცის დამზადება და მთლიანად პირველი ხარისხის მარგანეცს იძლევა. ეს მიღწეულ იქნა დაზგა-დანადგარების გადაკეთებით, მათი მაღალნაყოფიერი და გამართული მუშაობით.

მაღარო კარგად მუშაობს მაისის პირველ დღეებშიც. ყველა უბანი დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებს. სარეკორდო მაჩვენებლებს იძლევიან მესამე და მეექვსე უბნები, სადაც დანერგილია სტახანოვური განრიგით მუშაობა. ამ უბნებმა მაისის პირველი კვირის დავალება 150-160 პროცენტით შეასრულეს.

მაღაროში ყველას უსწრებს მესამე უბანი (გამგე გრ. მიროტაძე), სადაც სტახანოვური განრიგის მიხედვით გეგმა 115 პროცენტით უნდა სრულდებოდეს. აპრილში დავალება ამ უბანმა 125 პროცენტით შეასრულა. უბნის ოთხივე სანგრევი, სადაც ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკისათვის მზადდება ახალი ველი, გადაყვანილია ორცვლიან მუშაობაზე. ამით მიღწეულ იქნა წინსვლის ორჯერ და მეტად გადიდება, რაც ჭიათურაში იშვიათია. აპრილის შედეგებით ამ უბნის კოლექტივმა მაღაროს გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვა. გარდამავალი წითელი დროშა მიეკუთვნა აგრეთვე ცვლას, რომელსაც ამხ. ა. ტყემალაძე ხელმძღვანელობს. წარჩინებული სტახანოველები ამხ. ვ. ჩაჩანიძე, გ. ცუცქირიძე, ვ. ბულაძე და ს. გოგატიშვილი, რომლებიც გეგმებს 250-300 პროცენტით ასრულებენ, შეტანილი არიან მაღაროს „საპატიო წიგნში" და მიღებული აქვთ სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს სიგელები.

მაღაროში ყველაზე მძიმე და შრომატევადი პროცესია მარგანეცის ტვირთვა. მექანიკური ტვირთვის დანერგვისათვის პირველ უბანში კაპიტალურად შეკეთდა ორი „ბორეცის" ტიპის კომპრესორი, დაიდგა ორი ახალი რესივერი და გადაკეთდა შეკუმშული ჰაერის მილგაყვანილობა. ამით უბანს საშუალება მიეცა ამუშაოს ექვსი სატვირთო მანქანა „ემკო". ამავე უბანში დამატებით გაიხსნა ექვსი ახალი სანგრევი, გაყვანილ იქნა საელმავლო გზა ასაქცევებით. მეორე უბანში მოეწყო ორი სასკრეპერო ლავი და მოგვარდა სკრეპერებით ტვირთვა.

ახალი ლავების ამუშავებით, ზოგი ძველი ლავის აღდგენით, დატვირთვის მექანიზაციით და სტახანოველთა მამაცური შრომით მაღაროს კოლექტივმა მოიპოვა წარმატება, უკვე მიაღწია და კიდეც გადააჭარბა შრომის ნაყოფიერების ომამდელ დონეს. მაღაროელი ახალგაზრდა სტახანოველები, რომლებიც მექანიზმებზე მუშაობენ,—ს. ფხალაძე, ა. ინჩქიტიძე, ლ. შუბითიძე, ვ. ნოზაძე, ზ. მოდებაძე, გ. თოდაძე, ბ. ღუღუნიშვილი და სხვ.—დავალებებს სისტემატური გადაჭარბებით ასრულებენ. მაღაროს შესავალთან ამაყად ფრიალებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

პ. ჭიოკაძე

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ახალი ხუთწლედის მშენებლობებზე

დაწყებულია რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ძირითად საამქროთა მშენებლობა

თითქმის ერთი თვეა, რაც რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლები შეუდგნენ ძირითადი საამქროების მშენებლობას. წარმატებით მიმდინარეობს მიწის სამუშაოთა შესრულება საბრძმედე და საგლინავი საამქროების საფუძვლების ჩასაყრელად. სულ მოკლე ხანში მშენებლები შეუდგებიან კოქს-ქიმიური საამქროს საფუძვლის ჩაყრასაც.

მშენებელთა მთავარი ძალები ახლა გადაყვანილი არიან სამსხმელო საამქროს მშენებლობაზე. ამ საამქროს ერთი ნაწილი ამუშავებულ უნდა იქნას მეორე კვარტალის ბოლომდე. უნდა გადაეცეს საექსპლოატაციოდ, მაგალითად, შავი სხმულის განყოფილება, რომელიც ყოველწლიურად 13.000 ტონა პროდუქციას მოგვცემს. სამსხმელო საამქროს შენობა უკვე მზადაა. მეორე კვარტალის დასასრულიდან ამ შენობაში დაიწყება ლითონის შავი სხმულის მიღება, რათა მშენებლობისათვის საჭირო არასტანდარტული დეტალები და სხვადასხვა მექანიზმთა დიდი ნაწილები ადგილობრივად უკვე მომუშავე დამხმარე საწარმოებში გააკეთონ.

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მომავალ შემოდგომაზე ასამუშავებელი ობიექტის — თბოელექტროცენტრალის მშენებლობა. ამ დღეებში აქ იწყებენ თბოელექტროცენტრალის მოწყობილობათა მონტაჟს — ტურბინისა და ორი საორთქლე ქვაბის გამართვას. მაისში განზრახულია აგრეთვე მარტენის საამქროს მთავარი კორპუსის ლითონკონსტრუქციათა მონტაჟის დაწყება.

• • •

სწრაფად იზრდება და მშვენდება სოციალისტური ქალაქი რუსთავი. ერთდროულად მიმდინარეობს ახლად აშენებულ შენობათა მოპირკეთება, ქუჩების მოასფალტება, ქვაფენილის დაგება და მოედნების კეთილმოწყობა.

საბინაო მშენებლობა რუსთავში ბოლო ხანებში შესამჩნევად გაძლიერდა. ქარხნის მშენებლობის უფროსის ამხ. ნ. გიორგაძის განკარგულებით საცხოვრებელ სახლთა კედლების ამოსაყვანად ფართოდ იყენებენ რიყის ქვას აგურთან ერთად. ამან ხელი შეუწყო საბინაო მშენებლობის დაჩქარებას და მოგვცა აგურის საგრძნობი ეკონომია. საჭიროა ითქვას, რომ აქამდე აგურის სიმცირე საშუალებას არ აძლევდა მშენებლებს მუშაობის ფართო მასშტაბით გაშლისათვის.

პ. პეტრიაშვილი

„კომუნისტის" კორესპონდენტი

კორეის საკითხებზე საბჭოთა კავშირ-ამერიკის კომისიის მუშაობის განახლებისათვის

10 მაისს გამოქვეყნდა გაგრძელება ვ. მ. მოლოტოვის და ჯ. მარშალის მიმოწერისა კორეის შესახებ. ვ. მ. მოლოტოვის 7 მაისის წერილში წამოყენებული იყო წინადადება დაჩქარდეს კორეის საკითხებზე საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი კომისიის მუშაობის განახლება.

ამ წერილის პასუხად ბ-ნმა მარშალმა 13 მაისს მოსკოვში ამერიკის შეერთებული შტატების საქმეთა რწმუნებულის მეშვეობით ,გამოგზავნა წერილი, რომელშიც, აღნიშნავს რა საბჭოთა მთავრობის თანხმობას ერთობლივი კომისიის მოწვევაზე, აცხადებს, რომ მან მითითება მისცა ამერიკის სარდალს კორეაში — დაუყოვნებლივ ჩაატაროს მზადება, რათა კომისია კვლავ მოწვეულ იქნას სეულში. (საკდესი).

ვალერი ჩკალოვის ძეგლი მოსკოვში

სტალინური პრემიის ლაურეატ მოქანდაკე ი. ა. მენდელევიჩის სახელოსნოში დაიწყო ვალერი ჩკალოვის სკულპტურული ფიგურის კეთება ძეგლისათვის, რომელსაც ჩვენი დროის დიდ მფრინავს დაუდგამენ მოსკოვში, კურსკის ვაგზლის მოედანზე. 5,5 მეტრი სიმაღლის ფიგურა ჩკალოვს გამოხატავს საფრენოსნო კოსტიუმით გამოწყობილს. პოსტამენტიანად ძეგლის სიმაღლე 11 მეტრს მიაღწევს.

ფიგურას ჩამოასხამენ ბრინჯაოსაგან. პოსტამენტი მზადდება გრანიტისაგან. ძეგლის გარშემო გაშენდება სკვერი. ძეგლისა და მთელი მოედნის არქიტექტურული გაფორმება დავალებული აქვს არქიტექტორ ვ. ს. ანდრეევს. (საკდესი).

მოგებათა ტირაჟები ულიანოვსკში

15 მაისს ულიანოვსკში დაიწყო მესამე ხუთწლედის სესხის (მესამე წლის გამოშვება) და მესამე ხუთწლედის სესხის (მეოთხე წლის გამოშვება) მოგებათა ტირაჟები.

პირველ ამ ტირაჟთაგანში გათამაშდება 111.053.200 მანეთის 671.600 მოგება, მათ შორის 92—3.000-მანეთიანი, 460 — 1.000-მანეთიანი, 9.200 — 500-მანეთიანი, 128.800 — 200-მანეთიანი და 533.048 — 150-მანეთიანი.

მესამე ხუთწლედის სესხის (მეოთხე წლის გამოშვება) ტირაჟში გათამაშდება 84.497.000 მანეთის 511.000 მოგება, მათ შორის 70—3.000-მანეთიანი, 350—1.000-მანეთიანი, 7.000 — 500-მანეთიანი, 98.000 — 200-მანეთიანი და 405.580 — 150-მანეთიანი.

ტირაჟები ორ დღეს გაგრძელდება. (საკდესი).

თბილისიდან გაემგზავრა სსრ კავშირთან ალბანეთის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების დელეგაცია

14 მაისს, საქართველოში ხუთი დღის ყოფნის შემდეგ, თბილისიდან ერევანს გაემგზავრა სსრ კავშირთან ალბანეთის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების დელეგაცია საზოგადოების თავმჯდომარის, ალბანეთის ეკონომიკის მინისტრის ბ-ნ სპირუს მეთაურობით.

გამგზავრების წინადღეს, 13 მაისს, საზღვარგარეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარემ ამხ. ნ. მიქავამ სსრ კავშირთან ალბანეთის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების დელეგაციის პატივსაცემად მოაწყო დარბაზობა. დარბაზობას დაესწრნენ საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ამხ. გ. კიკნაძე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ამხ. ვ. კუპრაძე, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ამხ. ბ. ჩხეიძე, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის მოადგილე, საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. დ. ბაქრაძე, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე ამხ. რ. შანიძე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი პროპაგანდის დარგში ამხ. შ. ნემსაძე, სტალინური პრემიის ლაურეატი პოეტი გ. ლეონიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. ნ. ყიფშიძე, საქართველოში მყოფი, საბჭოთა მწერლების კავშირის გენერალური მდივნის მოადგილე ამხ. ნ. ტიხონოვი, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების მოღვაწენი, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს და საზღვარგარეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პასუხისმგებელი თანამშრომლები.

სტუმრების პატივსაცემად გაიმართა კონცერტი.

ერევანს დელეგაციის გამგზავრებისას ვაგზალზე სტუმრები გააცილეს საზღვარგარეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარემ ამხ. ნ. მიქავამ და ამ საზოგადოების პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა. (საქდესი).

იქვე, პარტიის რაიკომის მახლობლად

ახალგაზრდა ქალი კოლმეურნეობის კანტორაში ნერვიულად ფურცლავდა ქაღალდებს. იგი რამდენიმე წელია მოანგარიშედ მუშაობს სხვადასხვა კოლმეურნეობებში, მაგრამ ასეთ ამბავს არსად შეხვედრია. ერთი კვირის წინათ მოვიდა აქ სამუშაოდ. ანგარიშიანობა სრულიად აწეწილ-დაწეწილი დაუხვდა. სამი წლის მანძილზე კოლმეურნეობაში ოთხი მოანგარიშე შეიცვალა. ისინი უსულგულოდ ეკიდებოდნენ დაკისრებულ მოვალეობას, დაუდევრად მუშაობდნენ, არ შეცდილან სათანადოდ მოეწესრიგებინათ საანგარიშო საქმიანობა.

შექმნილი მდგომარეობა არანაკლებ აფიქრებს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს დავით ბუზალაძესაც. იგი გასული წლის სექტემბერში აირჩიეს ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. უკანასკნელი წლების განმავლობაში თავმჯდომარეებიც ზედიზედ იცვლებოდნენ აქ. ზოგმა ბოროტად გამოიყენა თანამდებობა. კოლმეურნეობის ყოფილ თავმჯდომარე მიხეილ თაბუაშვილზე დღემდე ირიცხება ფულად 5.000 მანეთზე მეტი დავალიანება. კოლმეურნეობისა სხვებსაც ბევრი მართებს.

ყოფილი ხელმძღვანელობის უხეირო მუშაობის შედეგად სოფელ დგვრისის (სტალინირის რაიონი) კოლმეურნეობა სამარცხვინოდ ჩამორჩა. ჩამორჩენა გრძელდება ახლაც. უჭირს დ. ბუზალაძეს მდგომარეობის გამოსწორება. იგი დახმარებას საჭიროებს, მაგრამ ვინ ეხმარება?

აქ ჩვეულებრივი ამბავია: თუ კაცს დაკისრებული მოვალეობის შესრულება უძნელდება, დახმარების მაგივრად მას ათავისუფლებენ.

ავიღოთ მემინდვრეობის მეორე ბრიგადა. უკანასკნელი წლის განმავლობაში ამ ბრიგადამ ორი ხელმძღვანელი გამოიცვალა. ახლა მესამე—შ. მიშვილდიშვილი ხელმძღვანელობს მას. ეს უკანასკნელიც, რაკი ხედავს, რომ არავინ ეხმარება და არც არავინ აქცევს ყურადღებას, წარმოუდგენელ გულგრილობას იჩენს დაკისრებული საქმისადმი. ბრიგადირთან და თავმჯდომარესთან ერთად დავათვალიერეთ მეორე ბრიგადის ნახნავი. დატოვებული იყო მრავალი ხარვეზი. ამ ნაკვეთის ხვნის დროს თვითონ ბრიგადირი მუშაობდა გუთნისდედად. ბრიგადაში 55 შრომისუნარიანი წევრია, მათგან მიმდინარე წლის სამთვენახევრის განმავლობაში 18 კაცს არც ერთი შრომადღე არ გამოუმუშავებია.

ცუდი მდგომარეობაა მემინდვრეობის პირველ ბრიგადაშიც. ამ ბრიგადის 53 წევრიდან 15 აპრილამდე 11 კაცს არც ერთი შრომადღე არ ჰქონდა გამომუშავებული.

შრომის დაბალი დისციპლინა კოლმეურნეობას ხელს უშლის დროულად შეასრულოს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. უმთავრესად ამის შედეგი იყო, რომ გასულ წელს აქ საშემოდგომო ხორბალი გეგმით გათვალისწინებული 10 ცენტნერის ნაცვლად 4 ცენტნერი მიიღეს, ქერი 9 ცენტნერის ნაცვლად—5,5 ცენტნერი, სიმინდი 13,5 ცენტნერის ნაცვლად—4 ცენტნერი. კოლმეურნეობამ ვერც მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმები შეასრულა. დაბალი იყო პირუტყვის პროდუქტიულობა: თვითეული საფურავე ძროხისაგან ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 570 ლიტრი რძისა, მიღებულია მხოლოდ 75 ლიტრი რძე. მიმდინარე წლისათვის ძროხების ბერწიანობა 60 პროცენტს აღწევს.

კოლმეურნეობის მეფრინველეობის ფერმაში 60 ფრთა ქათმის ნაცვლად მხოლოდ ორი ქათამი ჰყავთ. „ფერმის" შესანახად კი გასულ წელს 60 შრომადღე დაიხარჯა.

გეგმით გათვალისწინებული 15 ოჯახი ფუტკარის ნაცვლად კოლმეურნეობას ჰყავს 12 ოჯახი ფუტკარი. გასულ წელს ფუტკრის შესანახად 10 კილოგრამი შაქარი იყიდეს, ფერმიდან კი მხოლოდ 8 კილოგრამი თაფლი მიიღეს. ფერმის მომვლელს ლენტო მეშვილდიშვილს ფუტკრებისათვის ასეთი „მზრუნველობის" შედეგად 100 შრომადღე დაუწერეს.

ყოველივე ამის შედეგად შრომადღის ღირებულება კოლმეურნეობაში ძლიერ მცირეა. გასულ წელს შრომადღეზე მხოლოდ 0,5 კილოგრამი სიმინდი განაწილდა.

წელს არაფერი გაუკეთებია კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიას (თავმჯდომარე ვ. ძიგოევი).

კოლმეურნეობაში არ არის პარტიული ორგანიზაცია, ხოლო კომკავშირული ორგანიზაცია ცუდად მუშაობს. საკმარისია ითქვას, რომ კომკავშირის ორგანიზაციის მდივანს შოთა კვალიკაძეს წელს არც ერთი შრომადღე არ გამოუმუშავებია.

კოლმეურნეთა შორის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შემდეგ არავინ ეწევა საგიტაციო მუშაობას. უკანასკნელ წლებში კედლის გაზეთიც არ გამოდის.

როგორია დახმარება რაიონიდან?

კოლმეურნეობაში ფინგანის აგენტი, ან დამზადების რწმუნებული თუ შეივლის. სხვას არავის აინტერესებს გაეცნოს კოლმეურნეობის ცხოვრებას, დაეხმაროს მის ხელმძღვანელობას.

შექმნილი მდგომარეობა მით უფრო აღმაშფოთებელია, რომ ეს კოლმეურნეობა რაიონული ცენტრიდან ერთი კილომეტრითაც არ არის დაშორებული.

ჩანს პარტიის სტალინირის რაიკომის და რაისაბჭოს აღმასკომის მუშაკებს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილებიდან სათანადო დასკვნები არ გამოუტანიათ.

ვ. გელაშვილი
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი.

თბილისის ლენინის ორდენოსან კინო-სტუდიაში

თბილისის ლენინის ორდენოსანმა კინოსტუდიამ გასულ წელს გამოუშვა სამი სრულმეტრაჟიანი ფილმი: „ფიცი" (დადგმა მ. ჭიაურელისა), „დავით გურამიშვილი" (დამდგმელები ი. თუმანიშვილი და ნ. სანიშვილი) და დოკუმენტალური ფილმი „დიადი გზა", მიძღვნილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XXV წლისთავისადმი (რეჟისორი ს. დოლიძე).

სტუდიის კინოქრონიკის განყოფილებამ გასულ წელს გამოუშვა 36 კინოჟურნალი და 18 კინონარკვევი, მათ შორის ნარკვევები: „აბასთუმანი", „დინამო" რუმინეთში", „ბაკურიანი", ლ. პ. ბერიას გამოსვლა თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრებაზე, „დიადი დღე" (არჩევნების დღე საქართველოში), „არმაზი", „უზბა", „ხრამჰესი", „შემოდგომა კახეთში" (ფერადი ფილმი) და სხვ.

მიმდინარე წელს გათვალისწინებულია პირველი მხატვრული სტერეოფილმის „რობინზონ კრუზოს" გამოშვება. ფილმს დგამს თბილისის ლენინის ორდენოსანი კინოსტუდია მოსკოვის სტერეოსტუდიასთან ერთად. ფილმის რეჟისორია ანდრეევსკი, სცენარი ეკუთვნის დრამატურგ ს. ერმოლინსკის.

აგვისტოში დამთავრდება მხატვრული ფილმი „პოეტის აკვანი", რომელიც აკაკი წერეთლის ცხოვრებას ასახავს. სცენარის ავტორია ლ. ასათიანი. სურათს დგამს რეჟისორი ნ. პიპინაშვილი, ოპერატორია ფ. ვისოცკი.

წარმოებაშია და მიმდინარე წლის ბოლოს გამოშვებული იქნება მხატვრული მუსიკალური კინოკომედია „ქეთო და კოტე" (სცენარი ს. ფაშალიშვილისა, დადგმა ვ. ტაბლიაშვილის და გედევანიშვილის, ოპერატორი ა. დიღმელოვი).

რეჟისორები ხინთიბიძე და ხოტივარი მუშაობენ მხატვრულ ფილმზე „სახელოვანი დედა", რომლის სცენარი ეკუთვნის კ. ლორთქიფანიძესა და ფილიმონოვს.

დიდი ოქტომბრის XXX წლისთავისათვის სტუდია გამოუშვებს მხატვრულ სრულმეტრაჟიან დოკუმენტალურ სურათს „საქართველო და ოქტომბერი" (რეჟისორი ს. ჯალიაშვილი, ოპერატორი გრიშკოვა).

სტუდია შეუდგა მოსამზადებელ მუშაობას მხატვრულ ფილმზე „შეჯიბრება გრძელდება" (სცენარი ვ. კარსანიძის, დადგმა რეჟისორ ნ. სანიშვილისა, ოპერატორი დ. კანდელაკი). ფილმის დამთავრება მიმდინარე წელსაა განზრახული. გარდა ამისა, სტუდია მოსამზადებელ მუშაობას ეწევა დიდი მხატვრული ფერადი ფილმის „დიადი გზის" დადგმისათვის (ავტორი-რეჟისორი ს. დოლიძე, ოპერატორი ლ. ფელდმანი).

რეჟისორი მიხეილ ჭიაურელი მწერალ პავლენკოსთან ერთად მუშაობს სცენარზე „ბერლინის აღება". სურათის გადაღება დაიწყება მიმდინარე წელს.

სტუდიის დოკუმენტალური ფილმების სექტორს წელს განზრახული აქვს 48 კინოჟურნალისა და 12 კინონარკვევის გამოშვება. წელს გამოშვებული იქნება აგრეთვე სასწავლო-გეოგრაფიული ფილმები: „საბჭოთა საქართველო" და „საბჭოთა საქართველოს მთებში".

მწერლები მერხეულში

აფხაზეთის მწერალთა კავშირის ბრიგადა ეწვია სოფელ მერხეულს. მწერლებმა დაათვალიერეს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის პლანტაციები და ნაგებობანი. გაეცნენ კოლმეურნეობის ხუთწლიან გეგმას, ესაუბრნენ კოლმეურნეებს.

სოფლის კლუბში გაიმართა ლიტერატურული საღამო. მოხსენება თემაზე — „ლავრენტი ბერიას სახე ქართულ ლიტერატურაში"—გააკეთა ლ. პ. ბერიას სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორმა ბ. გვასალიამ. ლავრენტი ბერიასადმი და მისი სამშობლო სოფლისადმი მიძღვნილი ნაწარმოებები წაიკითხეს მწერლებმა ხუტა ბერულავამ, გ. გულიამ, გ. გაბუნიამ, შ. ტაბიძემ, ხ. ბღაჟბამ და ს. სანგულიამ.

თბილისი. სტალინის სახელობის ფეხსაცმლის პირველ ფაბრიკაში საუკეთესო გამომჭრელის სახელი მოიპოვა ახალგაზრდა გოგონამ თამარ ცერცვაძემ. სურათზე — თამარ ცერცვაძე საგამომჭრელო დაზგასთან.
ფოტო რ. აკოფოვისა

საუკეთესო მანქანები სოციალისტურ სოფლის მეურნეობას

ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა ასრულებს სოფლის მეურნეობის დაკვეთებს

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ერთ-ერთი მძლავრი საწარმოა თბილისის ორჯონიკიძის სახელობის ქარხანა. აქ ამზადებენ უმთავრესად მევენახეობა-მეღვინეობისათვის საჭირო მანქანებს, სხვადასხვა მექანიზმებსა და დადგმულობებს.

1947 წლის გეგმით ქარხანამ ჩვენი ქვეყნის მევენახეობა-მეღვინეობის საჭიროებისათვის უნდა გამოუშვას 19 სახელწოდების სხვადასხვა მანქანა და მნიშვნელოვნად გაადიდოს შრომის ნაყოფიერება. ქარხნის კოლექტივი (დირექტორი მ. კოდუა, პარტბიუროს მდივანი ნ. ავაქოვი, საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე გ. მარტიროსოვი) დარაზმულია ამ დავალების შესასრულებლად.

სახსოვარი

ქარხნის ეზოში შესვლისთანავე ყურადღებას იპყრობს წარწერა დიდ ტილოზე:

„ახლა, მშვიდობიან მშენებლობაზე გადასვლის შემდეგ ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს წინაშე კვლავ მთელი სიგრძე-სიგანით დაისახა, როგორც სრულიად გადაუდებელი ამოცანა, — უზრუნველყოთ სოფლის მეურნეობის ისეთი აღმავლობა, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს უმოკლეს ვადაში შევქმნათ სურსათის სიუხვე ჩვენი მოსახლეობისათვის, ნედლეულისა მსუბუქი მრეწველობისათვის და სურსათისა და ნედლეულის აუცილებელი სახელმწიფო რეზერვების დაგროვება".

იქვე მეორე დიდ, თეთრ ფარზე სწერია:

— ჩვენ წელს უნდა მივცეთ სამშობლოს: 80 ცალი ოთხასლიტრიანი საწნეხი მანქანის ნაცვლად 120 მანქანა;

50 ცალი ათასლიტრიანი საწნეხი მანქანის ნაცვლად, 80 ცალი მანქანა;

„მობილის" სისტემის განუწყვეტელი მოქმედების 20 ცალი საწნეხი მანქანა;

„დურხის" სისტემის 170 ცალი ყურძნის საწური მანქანის ნაცვლად — 200 ცალი;

„ზაფერის" სისტემის 250 ცალი სატუმბავის ნაცვლად 300 ცალი სატუმბავი მანქანა...

სამსართულიანი კედლის მთელ სიმაღლეზე ასე აღნიშნულია იმ მანქანებისა და მოწყობილობის მთელი ნომენკლატურა, რაც წელს უნდა მოგვცეს ამ ქარხნის კოლექტივმა.

ლენინგრადელთა მოწოდების პასუხად ქარხნის კოლექტივმა წელს გეგმით ნავარაუდევი 7.600.000 მანეთის პროდუქციის ნაცვლად იკისრა გამოუშვას 8.600.000 მანეთის პროდუქცია. გეგმით ქარხანამ უნდა გამოუშვას „გლორიას" სისტემის 100 ცალი მანქანა. ქარხნის კოლექტივმა იკისრა მოგვცეს 110 ცალი ასეთი მანქანა. დიდი მოთხოვნილებაა მევენახეობის რაიონებში ჭაჭის გამოსახდელ აპარატებზე. ამ აპარატის წარმოების ათვისება ახლა ხდება. ასეთი აპარატი წელს ქარხანამ 60 ცალი უნდა გამოუშვას.

ნაკისრ ვალდებულებათა გასანაღდებლად ქარხნის კოლექტივმა უნდა შესძლოს მუშის საშუალო თვიური გამომუშავება გეგმით ნავარაუდევი 2.100 მანეთის ნაცვლად გაზარდოს 2.350 მანეთამდე, პროდუქციის თვითღირებულება შეამციროს 4 პროცენტით, გასწიოს 15.000 კილოვატსაათი ელექტროენერგიისა და 10 ტონა საწვავის ეკონომია.

ამისათვის იბრძვიან ახლა ამ ქარხანაში.

4 თვის შედეგები

განვლილი 4 თვის შედეგები მოწმობენ, რომ ქარხნის კოლექტივი პირნათლად გაანაღდებს ნაკისრ ვალდებულებებს.

1946 წლის პირველ 4 თვესთან შედარებით, მიმდინარე წლის ოთხ თვეში პროდუქციის გამოშვება 33 პროცენტით გაიზარდა. მარტო პირველ კვარტალში შარშანდელ პირველ კვარტალთან შედარებით პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულია 3,4 პროცენტით. ეს იმას ნიშნავს, რომ პირველ კვარტალში გეგმით გათვალისწინებულ თვითღირებულებასთან შედარებით ქარხანაში იმდენად შეამცირეს პროდუქციის დამზადების ხარჯები, რომ მიიღეს 300.000 მანეთის ეკონომია.

მუშის საშუალო თვიური გამომუშავება იანვრიდან მაისამდე უდრის არა 2.100 მანეთს, როგორც გეგმითაა გათვალისწინებული, არა 2.350 მანეთს, როგორც ნაკისრი ჰქონდათ, არამედ 2.700 მანეთს. ამრიგად მუშის წლევანდელი საშუალო გამომუშავება შარშანდელი პირველი ოთხი თვის საშუალო გამომუშავებას უკვე 64 პროცენტით აღემატება.

ყველა ეს მაჩვენებელი მოწმობს, რომ მიმდინარე წლის გადიდებულ საწარმოო დავალებებს მევენახეობა-მეღვინეობის მანქანათმშენებლები დიდი წარმატებით ასრულებენ. საჭიროა აქვე აღინიშნოს, რომ ამ წარმატებათა მოპოვებაში მათ დიდად შეუწყო ხელი სტახანოვური განრიგით მუშაობის დანერგვამ, სოციალისტური შეჯიბრების, განსაკუთრებით პროფესიათა მიხედვით შეჯიბრების ფართოდ გაშლამ, რაციონალიზატორულ ღონისძიებათა განხორციელებამ.

მევენახეობა-მეღვინეობის მანქანათმშენებლები

ქარხნის საკონსტრუქტორო ბიუროში თავისი საქმის მოყვარული ენთუზიასტები მუშაობენ. ისინი ხაზავენ, ანგარიშობენ, აპროექტებენ, მსჯელობენ, ხშირად ლაბორატორიულ ცდებს მიმართავენ.

კონსტრუქტორთა დაუღალავი შემოქმედებითი მუშაობის შედეგად იბადებიან ახალი, გაუმჯობესებული ტიპის მანქანები, გონებამახვილად მოწყობილი მექანიზმები, რომლებიც კოლმეურნე მევენახე-მეღვინეებს უადვილებენ შრომას, მეტი ყურძნის მოყვანას და უკეთესი ღვინის დაყენებას. ინჟინრები მარიამ ჭანტურია, დემიდოვი და სხვანი მუშაობენ ამ ახალი კონსტრუქციის მანქანების შექმნაზე. ქარხნის დირექტორი თვითონაც ინჟინერია. ისიც ეხმარება მათ. მთავარი ინჟინერი ლ. აივაზოვი და ამწყობი საამქროს ხელმძღვანელი ინჟინერი ვ. კველიშვილიც მონაწილეობას იღებენ კონსტრუქტორთა მუშაობაში.

მაგრამ რას გააწყობდნენ კონსტრუქტორები, რომ მათ ნახაზებს ზუსტად და ტექნიკური თვალსაზრისით უნაკლოდ არ ასრულებდნენ ქარხნის საუკეთესო ადამიანები, ისეთები, როგორიც არიან, მაგალითად, შ. ომანიძე, მჭედელი ა. რომელაშვილი, ზეინკალი ი. ილურიძე, რევოლვერისებრ დაზგაზე მომუშავე სახელოვანი სტახანოველი გოგონა გ. ზახარიძე, ლითონმჩრელი ზ. სიხარულიძე, ზეინკალი ლ. ამირგულოვი, მეყალიბე ნ. ციკორიძე, ელექტრომემონტაჟე კ. მატბერაშვილი და ასობით სხვები.

ამწყობ საამქროში მუშაობს ვ. ერგემოვის ბრიგადა, რომელიც ერთ-ერთი პირველი გადავიდა სტახანოვური განრიგით მუშაობის მეთოდზე. ბრიგადა 3 კაცისაგან შესდგებოდა. ამ სამი კაცის საქმეს ახლა მხოლოდ ორი კაცი ასრულებს და ისეთი წარმატებით, რომ ამ ორმა კაცმა 1947 წლის დავალების შესრულება 1 მაისისთვის 160 პროცენტით შესძლო.

ამჟამად ეს ადამიანები მუშაობენ „გლორიას" სისტემის 10 ახალი მანქანის აწყობაზე, ხოლო საკონსტრუქტორო ბიუროში უკვე ამთავრებენ ნახაზებისა და პროექტების დამუშავებას იაკოვლევის სისტემის საფილტრაციო დანადგარებისა და ჭაჭის სახდელი ახალი კონსტრუქციის აპარატების სერიული გამოშვების დასაწყებად.

საუკეთესო ხარისხის, ახალი კონსტრუქციის მანქანებს უმზადებენ ორჯონიკიძის სახელობის თბილისის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშაკები საქართველოს მევენახე-მეღვინეებს.

დ. ამირანიძე

უხვი მოსავლის ოსტატები

გაზაფხულის დღეა. გულს ახარებს კორდების, ფერდობებისა და ველების ზურმუხტისფერი სინარნარე. მწკრივებად ჩარაზმულან ჩაის ბუჩქები, ციტრუსოვანი მცენარენი. გაფურჩქნილა ზვრები—მაღალ ხეებზე გაბარდნილი ადესა და ჩხავერი. ამ ბუნებრივ სილამაზეს კიდევ უფრო აძლიერებენ გურული კაცის სიფაქიზისა და სტუმართმოყვარეობის მაჩვენებელი კოხტა ოდები.

ჩოხატაური ლამაზი კუთხეა გურიისა.

გასულ წელს ამ რაიონის კოლმეურნეობებმა წარმატებით შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის დავალება. ისინი არც ციტრუსების, ტუნგოს, თამბაქოსა და აბრეშუმის პარკის დამზადებაში ჩამორჩენილან. ბევრმა მათგანმა სიმინდის მოსავალი საგრძნობლად გაადიდა. რაიონის ცენტრიც, რომელსაც ამ დღეებში დაბის სახელწოდება მიენიჭა, მშვენიერდება და ლამაზდება.

ჩოხატაურელი კოლმეურნეები აღფრთოვანებით ჩაებნენ საოქტომბრო შეჯიბრებაში და მთელი ენერგიით მუშაობენ სოფლის მეურნეობის აღმავლობის სტალინური პროგრამის შესრულებისათვის.

* * *

სოფელ შუაგანახლების ბერიას სახელობის კოლმეურნეობის კანტორაში თავმჯდომარესთან რამდენიმე კაცია თავმოყრილი. ისინი მოწინავე კოლმეურნეები არიან. უხვი მოსავლის ოსტატები.

გიორგი ყაჭეიშვილს, ვიდრე თავის სოფელში კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩევდნენ, ბრძოლისა და შრომის მეტად რთული გზა გამოუვლია. უკვე ორმოცდაცამეტი წლისაა, მაგრამ მის ქარდაკრულ სახეში ჭაბუკური ენერგია გამოსჭვივის.

— ჩვიდმეტი წელიწადია ციტრუსებს ვამუშავებ და გამოცდილება არ მაკლია,—სთქვა კოლმეურნე ფილიმონ ყაჭეიშვილმა. უხვი მოსავალი რომ მიიღო, საჭიროა მიწის ნაკვეთს კარგად იცნობდე, გამოცდილი უნდა გქონდეს სად ხარობს უკეთესად ჩაი, ციტრუსი, ტუნგო, სიმინდი. კარგი მუშა ის არის, ვინც მიწის ყოველ ნაკვეთს სწორედ იმას გამოაღებინებს, რისი მოცემაც მას შეუძლია.

ფილიმონი ორმოცდათვრამეტი წლისაა, წვერი გათეთრებია. ულვაშებში კი თითქმის ჭაღარა არ ურევია, მტკიცედ გამოიყურება. ჯერ არ მომხდარა, რომ შრომაში იგი ვინმეს ჩამორჩენოდეს. ხშირად დღეში ორ ნორმას გამოიმუშავებს ხოლმე. მეურნეობის ყოველ დარგს იცნობს, ყველგან ნაყოფიერად მუშაობს. წელს ახალი ვალდებულება იკისრა—ჰექტარზე 40 ცენტნერი სიმინდი მოიყვანოს.

საუბარში ჩაერია ხანშიშესული კოლმეურნე ლავროსი ჯიბუტი.—კოლმეურნეებს რომ ცალკეული ნაკვეთები მივვიჩინეს,—სთქვა მან, — ეს ჭეშმარიტად კარგი საქმეა. დღეს ჩემს ნაკვეთში შევიარე. წინათ, მთელ რგოლს რომ ჰქონდა, მაშინ არ შემიმჩნევია, ახლა კი არც დახნული მომეწონა, არც დათესილი. ამ სიბერეში თავს ვერ შევირცხვენ, ვალდებულება ნაკისრი მაქვს და იგი აუცილებლად უნდა შევასრულო.

— აბა, შენი შრომის ნაყოფს რომ დაინახავ, გული გაგინათდება,—დაემოწმა გალაქტიონ სიხარულიძე, ომგადახდილი შუახნის კაცი, აქტიური კოლმეურნე.

გალაქტიონს ცხარე ბრძოლებში მიუღია მონაწილეობა, ქერჩში დაჭრილა. ახსოვს აზოვის ზღვიდან მონაბერი სასტიკი ქარი, ყუმბარების გრიალი და ტყვიების ზუზუნი. შეუპოვარ ბრძოლაში გამოიწრთო იგი და ახლა მთელ თავის ძალღონეს ახმარს გამარჯვებული ქვეყნის ახალ წარმატებას.

შუაგანახლებაში უხვად მოდის ჩაი, ციტრუსი, მარცვლეული, ტუნგო, თამბაქო, ყურძენი. განვითარებულია მეაბრეშუმეობა, მეცხოველეობა.

ყოველივე ეს კოლმეურნეობის თავმჯდომარისაგან დიდ ცოდნას, დაკვირვებასა და მუშაობას მოითხოვს. ამხ. ყაჭეიშვილიც ძალღონეს არ ზოგავს, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციის XXX წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდეს. მას მხარში უდგანან მოწინავე კოლმეურნეები—შ. ყაჭეიშვილი, გ. სიხარულიძე, ა. სიხარულიძე, ი. კობიძე, ნ. სიხარულიძე, ა. სიხარულიძე, მ. ყაჭეიშვილი.

* * *

ორსართულიანი სახლის გვერდით ვეება ცაცხვია აღმართული. ცისიერის მპყრობელივით აქვს მას გაშლილი თავისი ნორჩფოთლებიანი შტოები. ცაცხვს ისეთ[illegible] რომ რამდენიმე [illegible] დენს.

ეს ცაცხვი თითქო სიმბოლოა სოფელ ძირგანახლების უხვადმსაზრდოებელი ბუნებისა. ამიტომ, არ უნდა გაგვიკვირდეთ, რომ ძირგანახლების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ასალო დოლიძე ას რვა წლისაა. მან შარშან სამას ოთხმოცი შრომადღე გამოიმუშავა და წელსაც მხნედ აკეთებს თავის საქმეს.

კოლმეურნეობის კანტორაში სხვებთან ერთად ოთხმოცდაათი წლის ქალი ვასასი დოლიძეც მოვიდა. მკვირცხლად მოძრაობს, ოხუნჯობს, მოსწრებული სიტყვა არ ელევა. მკერდზე თავდადებული შრომისათვის მიღებული მედალი ჰკიდია.

ამ მოხუცს შვილთა შვილიშვილები ჰყავს, მაგრამ უქმად ყოფნას მისი ბუნება ვერ იტანს.

— ჩემი მარჯვენით უნდა ვიშრომო, სხვისი არ მინდა. მოსვენება მერეც მეყოფა.—იტყვის ხოლმე ვასასი. დილით იგი ყველაზე ადრე გადის სამუშაოდ, თავისი რგოლის წევრებს ეძახის, ახალგაზრდებს მაგალითს აძლევს.

გიორგი დოლიძეც ხანშიშესული კაცია, მაგრამ მისმა რგოლმა არა ერთხელ ისახელა თავი. შარშან ამ რგოლის წევრებმა სიმინდის კარგი მოსავალი მიიღეს, ხოლო დღეს პირობას იძლევიან, რომ ჰექტარზე 40 ცენტნერზე მეტს მოიყვანენ.

— გურულ კაცს სიმინდისა და ლობიოს მოყვანაში ჭკუა არ უნდა ესწავლებოდეს, მარა ამ საქმეშიც ახალი გამოცდილება შევიძინეთ.—ამბობს ეს ჭაღარა კოლმეურნე.—მიწაში თესლს რომ ჩაყრი, კი არ უნდა უყურო, რას მომცემსო, ხელი უნდა შეუწყო, თვითეულ ღერ სიმინდს უნდა მიხედო. ასეა ჩაის ბუჩქიც და ციტრუსოვანთა ნარგავები.

სოფელი ძირგანახლება რაიონში ერთი მოწინავეთაგანია. კოლმეურნეობას გაშენებული აქვს ჩაი, ციტრუსები, ტუნგო, მოჰყავს თამბაქო, მარცვლეული კულტურები. ამ მრავალფეროვან მეურნეობას სათავეში უდგას ახალგაზრდა ბოლშევიკი ნოე დოლიძე. იგი აგრონომია, რვა წლის წინათ შეცვალა თავმჯდომარის თანამდებობაზე თავისი მამა, რომელიც ამჟამად კოლმეურნეობის ფერმას განაგებს.

ამხ. ნ. დოლიძეს დარაზმული ჰყავს კოლმეურნეები, რათა წელს უხვი მოსავალი მიიღონ.

* * *

მთის ძირას, ბაღნარებით დამშვენებულ კორდებზეა შეფენილი სოფელი ნაკადული. ამ სოფლის კოლმეურნეობაში განსაკუთრებულ აქტივობას იჩენენ ომგადახდილი ვაჟკაცები.

უშანგი ახალაძე ბერლინის აღების მონაწილეა. იგი ამჟამად კოლმეურნეობის თავმჯდომარეა. მან ბევრი ქვეყანა ნახა, მრავალ ცეცხლში გამოიარა, ახლა კი კოლმეურნეებს მიუძღვის უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში.

უშანგი ახალაძეს სხვებთან ერთად მხარში უდგას ბრიგადირი ლავრენტი გაგუა. ეს ტანმორჩილი, მკვირცხლი ჭაბუკი ანაპის სახელოვანი ბრძოლების მონაწილეა, სხვა მეომრებთან ერთად შეუპოვრად მიიწევდა წინ ქერჩისა და სევასტოპოლის გასათავისუფლებლად.

მერგოლურები კოლია, გიორგი და დათიკო ახალაძეებიც ომგადახდილნი არიან. ეს ახალი ნაკადი, ეს წრთობილი ძალა შეემატა აქაურ კოლმეურნეებს და ამიტომ ბუნებრივია, რომ საგაზაფხულო სამუშაოები წარსულ წლებზე გაცილებით უკეთესად მიმდინარეობს.

ომის წლებში დიდების ახალი შუქით შეიმოსნენ ქართველი მშრომელი ქალები. ამათი წარმომადგენელნი არიან ავრაფინა და ანასტასია თოდუებები, რომელნიც არა მარტო გულმოდგინებით გამოირჩევიან, არამედ საქმის ღრმა ცოდნითაც.

გაზაფხულის წვიმამ გარემო ზურმუხტისფერი ელფერით დაამშვენა. სოფელ ნაკადულის ქედებს მზის ლაღლაღა შუქი გადმოეფინა. ლამაზად აღმართულ გამოჩინებულსა და წითელვაშლაზე ნისლი აიკრიფა. გაიხსნა ცისიერი და კავკასიონის მწვერვალები იმ ამამაღლებელი სისპეტაკით გაბრწყინდნენ, რომელიც ადამიანს მუდამ წინ, მუდამ ახალი გამარჯვებისაკენ იწვევს. ჩვენი კოლმეურნეები, უხვი მოსავლის ოსტატები მთელი ძალით მუშაობენ ამ ახალი გამარჯვებებისათვის. [illegible], ისინი სახელოვნად შეასრულებენ დიდი ბელადისათვის მიცემულ პირობას.

სოლომონ თავაძე

საპარფიუმერიო მცენარეები

სოხუმში არის საცდელი სადგური, რომელიც იკვლევს შავი ზღვის სანაპიროს ტენიან ზონაში ეთერზეთოვანი მცენარეების გახარების პირობებს. ამ მცენარეთა შორის იშვიათი სახეებია მელალევკა და პაჩული, რომელთა სამშობლოა ტროპიკული ქვეყნები—ინდოეთი, ავსტრალია, ინდონეზია და ფილიპინის კუნძულები.

მელალევკა ბუჩქოვანი მცენარეა და იზრდება ოთხი მეტრის სიმაღლემდე, აქვს წიწვისმაგვარი პატარა ფოთლები. იგი აპრილ-მაისში იფარება ღია ყვითელი ყვავილით. ამ პერიოდში მელალევკა იშვიათი სურნელოვანია.

სოხუმის საცდელი სადგური მელალევკას ყვავილებიდან წელს პირველად იღებს ზეთს, რომელსაც იყენებენ საპარფიუმერიო მრეწველობაში.

პაჩული ივიდან სოხუმში იქნა შემოტანილი. მისი ზეთით მელნის არომატიზაციას ახდენენ ინდოეთში. გამხმარი ფოთლის ფხვნილს ცხვირსახოცებისა და ხელსაწყოების სურნელებისათვის იყენებენ, ზეთს კი სურნელისა და ოდეკოლონისათვის.

ჩვენს ტერიტორიებში ერთი ჰექტარი პაჩულის პლანტაციიდან იღებენ 50-75 კილოგრამ ზეთს. სოხუმის საცდელი სადგური პაჩულის გამრავლებას ახდენს გაზაფხულზე. პაჩული მრავალწლიანი მცენარეა, მაგრამ ჩვენში ჯერჯერობით ათვისებულია, როგორც ერთწლიანი მცენარე.

ს. შონია
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ა. ა. გრომიკოს სიტყვა უშიშროების საბჭოს 12 მაისის სხდომაზე

ნიუ-იორკი, 12 მაისი. (საკდესი). უშიშროების საბჭოს 12 მაისის სხდომაზე ა. ა. გრომიკომ შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა:

7 მაისს შემდეგი წერილით მივმართე გენერალურ მდივანს: „იმ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომელიც საბერძნეთის სასაზღვრო ინციდენტთა გამომკვლევმა კომისიამ ამა წლის 29 აპრილს მიიღო ამ კომისიის დამხმარე ჯგუფის რწმუნებათა შესახებ, პატივი მაქვს გთხოვოთ შეიტანოთ უშიშროების საბჭოს შემდეგი სხდომის დღის წესრიგში „საბერძნეთის საკითხი", რაც აღნიშნულია იმ საქმეთა სიაში, რომლებზეც უშიშროების საბჭო მუშაობს".

უშიშროების საბჭოს იმის გამო მივმართე ამ თხოვნით, რომ ჩემს წერილში მოხსენებული კომისიის უკანასკნელი მოქმედება უშიშროების საბჭოში განხილვის ღირსია. ეს მოქმედება გულმოდგინედ უნდა განვიხილოთ, რადგან იგი შეუთავსებელია საბერძნეთის საკითხზე უშიშროების საბჭოს სათანადო გადაწყვეტილებებთან.

კომისიამ ამა წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებაში სცადა მოეცა ევროპულ-ნდებული „დამხმარე ჯგუფის" ფუნქციათა და რწმუნებათა განსაზღვრა. მაგრამ კომისიის 29 აპრილის გადაწყვეტილებათა შესწავლა ცხადჰყოფს, რომ „დამხმარე ჯგუფის" ფუნქციათა და რწმუნებათა განსაზღვრა არ შეიძლება გამართლებულ იქნას უშიშროების საბჭოს წინა გადაწყვეტილებებით.

როგორც ცნობილია, 1947 წლის 18 აპრილს [illegible]

მხედველობაში მაქვს, რომ ამ საკითხის განხილვის პროცესში ჩვენ შევძლებთ დავაზუსტოთ „დამხმარე ჯგუფის" ფუნქციები და გამოვასწოროთ მდგომარეობა.

გარდა ამისა, საბჭოს ყურადღებას მივაპყრობ აგრეთვე შემდეგ გარემოებას. ცნობილია, რომ საბერძნეთის საკითხის განხილვის დროს უშიშროების საბჭოში მოვუსმინეთ არა მარტო საბერძნეთის მთავრობის წარმომადგენელს, არამედ აგრეთვე სხვა დაინტერესებული ქვეყნების — იუგოსლავიის, ბულგარეთისა და ალბანეთის მთავრობათა წარმომადგენლებს. ჩვენი ორგანიზაციის წესდების დებულებათა და უშიშროების საბჭოს პროცედურის წესთა შესაბამისად ჩვენ ბულგარეთის, იუგოსლავიისა და ალბანეთის წარმომადგენლებს მონაწილეობა მივაღებინეთ საბჭოს დისკუსიაში ამ საკითხზე. ასეთი მოქმედებით უშიშროების საბჭომ სწორი გადაწყვეტილება მიიღო საბერძნეთის საკითხის განხილვის წესის შესახებ. ამავე დროს, მიუხედავად უშიშროების საბჭოს მიერ არჩეული ამ დადგენილი კანონიერი წესისა, კომისიამ 29 აპრილის გადაწყვეტილების გამოტანის დროს სხვა წესს მიმართა, რომელიც არ ეთანხმება უშიშროების საბჭოს მიერ არჩეულ პროცედურას, კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება „დამხმარე ჯგუფის" რწმუნებათა და ფუნქციათა შესახებ იუგოსლავიის, ბულგარეთისა და ალბანეთის წარმომადგენლების მიერ მონაწილეობის მიუღებლად.

ასეთი მდგომარეობის გამართლება არ შეიძლება [illegible]

[illegible]

ეული ამ კომისიის მიმართაც კი. კომისიის ამა წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებათა ძირითადი ნაკლი ის არის, რომ კომისიამ ფაქტიურად უცვლელად გადასცა თავისი ფუნქციები „დამხმარე ჯგუფს". მე განსაკუთრებით მსურს, სთქვა ამხანაგმა გრომიკომ, მივაპყრო ამას უშიშროების საბჭოს ყურადღება, რადგან

[illegible]

საქმიანობას თვითონ კომისიის ლიკვიდაციასთან ერთად;

4) კომისიამ თავისი გადაწყვეტილება „დამხმარე ჯგუფის" ფუნქციათა და რწმუნებათა შესახებ უნდა შეუთანხმოს უშიშროების საბჭოს ამ გადაწყვეტილებას".

მთავრობის კრიზისის გამო ფინეთში

ჰელსინკი, 13 მაისი. (საკდესი). ფინეთის რადიო გადმოგვცემს, რომ აგრარული კავშირის საპარლამენტო ფრაქცია დღეს შეიკრიბა სხდომაზე, რათა მოესმინა ამ ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის ნიუკანენის ცნობა იმის შესახებ, თუ რა შედეგი მოჰყვა რესპუბლიკის პრეზიდენტთან საუბარს მთავრობის კრიზისის შესახებ. ამ საუბრის შედეგად ცხადი გახდა, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტს მიზანშეწონილად მიაჩნია იმგვარად მოგვარდეს მთავრობის კრიზისი, რომ პრემიერ-მინისტრ პეკალას მთავრობა თავის პოსტზე დარჩეს და რომ აგრარული კავშირი პეკალას შეუთანხმდეს მთავრობაში თავისი მონაწილეობის შესახებ. მოისმინა რა ნიუკანენის ცნობა, ფრაქციამ გადასწყვიტა, რომ პრინციპულად არაფერი აქვს საწინააღმდეგო მთავრობის ახლანდელი კრიზისის მოგვარების ასეთი ვარიანტისა, თუ ამის შესახებ მას მისცემენ ფრაქციისათვის დამაკმაყოფილებელ განცხადებას".

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სპეციალურ სესიაზე

პოლიტიკური კომიტეტის სხდომები

ნიუ-იორკი, 13 მაისი. (საკდესი). რადგან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკურმა კომიტეტმა ვერ მიაღწია შეთანხმებას პალესტინის საკითხის შემსწავლელი კომისიის რწმუნებათა შესახებ, გუშინ იგი კვლავ შეიკრიბა, რათა განეხილა ქვეკომიტეტის მიერ შედგენილი ახალი სამუშაო პროექტი. მაგრამ ამ პროექტში კვლავ გადაუწყვეტელია ძირითადი უთანხმოებანი, განსაკუთრებით შეერთებული შტატების საწინააღმდეგო მოსაზრებანი საბჭოთა კავშირის ამ მოთხოვნის მიმართ, რომ დაყენებულ იქნას საკითხი პალესტინის დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს დაუყოვნებლივ შექმნის შესახებ. ქვეკომიტეტმა არ მიიღო საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის წინადადებანი ამ პუნქტის შესახებ და მათ ნაცვლად წამოაყენა სხვადასხვა ბუნდოვანი ალტერნატიული ფორმულები პალესტინისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების პრინციპის აღიარების შესახებ. საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის წინადადებანი პროექტში აღნიშნულია როგორც შესწორებანი პარაგრაფისა, რომელშიც ქვეკომიტეტი მხოლოდ დეკლარაციის სახით ამბობს, რომ პალესტინის საკითხის შემსწავლელმა კომისიამ უნდა შეიმუშაოს „სათანადო წინადადებანი". მაგრამ პროექტი შეიცავს წინადადებას, რომელიც საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ა. ა. გრომიკომ კვლავ წამოაყენა 10 მაისს და რომლის მიზანია — უფლებით აღიჭურვოს პალესტინის საკითხის გამომკვლევი კომისია. შესწავლის [illegible]

ველმა კომისიამ მოისმინოს პალესტინის ყველა პოლიტიკური ჯგუფის, მათ შორის ებრაელთა წინააღმდეგობის წარმომადგენლების აზრი, მაგრამ მათგან გამორიცხა ჰიტლერელი კოლაბორაციონისტები. შემდეგ მან კვლავ შეიტანა პოლონელთა შესწორებანი, რომლებიც უარყოფილი იყო ქვეკომიტეტის მიერ. შესწორებანი შეიცავენ წინადადებას, რომ პალესტინის საკითხის შემსწავლელმა კომისიამ მოახდინოს კვლევა-ძიება ადგილ-გადანაცვლებულ პირთა ბანაკებში.

ფედერკევიჩის საპასუხოდ ერაყის წარმომადგენელი ჯამალი ამტკიცებდა, რომ პალესტინის ებრაელების ნაციონალურ მისწრაფებათა მხარდამჭერთა ნიშნავს „ომის გამოცხადებას". ჯამალმა განაცხადა, რომ არაბები არ მოითმენენ „უცხოელთა შემოჭრას არაბულ ქვეყნებში".

დილის სხდომის დახურვის წინ კომიტეტმა მოისმინა ებრაელთა სააგენტოს წარმომადგენლის შერტოკის პასუხები იმ კითხვებზე, რომლებითაც სააგენტოს წარმომადგენელს წინათ მიმართეს სხვადასხვა დელეგატებმა.

შერტოკმა წინადადება წამოაყენა, რომ კომიტეტმა დაამთავროს საერთო განხილვა, მოისმინოს არაბთა უმაღლესი კომიტეტის პასუხები და ამის შემდეგ გადავიდეს ქვეკომიტეტის პროექტის მუხლობრივ განხილვაზე.

ნიუ-იორკი, 14 მაისი. (საკდესი). 12 მაისის დილის სხდომაზე გენერალური ასამბლეის სპეციალური სესიის პოლიტიკურმა კომიტეტმა [illegible]

[illegible]

რომელშიც ნათქვამია: „სპეციალურმა კომისიამ გამოკვლევა უნდა აწარმოოს პალესტინაში და ყველგან, სადაც იგი ამას სასარგებლოდ მიიჩნევს, მიიღოს და შეისწავლოს ყოველი წერილობითი, თუ სიტყვიერი ჩვენება, რომელსაც იგი შესაფერად მიიჩნევს თვითეულ შემთხვევაში [illegible]

[illegible]

კაბადი, იუგოსლავიამ, ლიბანის რესპუბლიკამ, ინდოეთმა, ირანმა, პოლონეთმა, სიამმა და ვენესუელამ.

ამის შემდეგ პოლიტიკური კომიტეტის სხდომა დაიხურა 13 მაისამდე.

ნიუ-იორკი, 14 მაისი. (საკდესი). გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკურმა კომიტეტმა დაამთავრა განხილვა რეზოლუციისა პალესტინის [illegible]

ნის საკითხის შემსწავლელი კომისიის ფუნქციათა და რწმუნებათა შესახებ.

სხდომა დაიწყო იმ წინადადების შესახებ კამათით, რომ ინსტრუქციაში, რომელიც აძლევს კომისიის ფუნქციებს და რწმუნებებს, შეტანილ იქნას პალესტინის მოსახლეობის [illegible]

[illegible]

გრომიკომ წინადადება შეიტანა კომისია შედგებოდეს მხოლოდ უშიშროების საბჭოს წევრებისაგან. გრომიკომ წინადადება შეიტანა შეუდგნენ საბჭოთა კავშირის ამ წინადადების განხილვას, თავმჯდომარემ გადასწყვიტა გადადოს წინადადების განხილვა, რათა კომიტეტის წევრებს შესაძლებლობა მიეცეთ შეისწავლონ იგი.

ამით დამთავრდა დილის სხდომა.

საკოორდინაციო კომიტეტში

ბერლინი, 12 მაისი. (საკდესი). როგორც გამოირკვა, ამასწინათ შესდგა საკოორდინაციო კომიტეტის მორიგი 121-ე სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა გაერთიანებული ეკონომიური დირექტორატის რეკომენდაცია იმ ქარხნების პირველი ძირითადი სიის შეცვლის შესახებ, რომლებიც გამოცხადებულია რეპარაციათა ანგარიშში ამოღებისათვის განკუთვნილად.

კომიტეტისათვის წარდგენილ დოკუმენტში ეს რეკომენდაცია იმით არის დასაბუთებული, რომ სიაში აღნიშნულ საწარმოთაგან 11 ქარხანა მთლად დანგრეულია, 10 არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს რეპარაციებისათვის, ხოლო 16, როგორც აღმოჩნდა, სულ არ არსებობს.

ამასთან დაკავშირებით საბჭოთა წარმომადგენელმა საკოორდინაციო კომიტეტში განაცხადა, პირველი შემთხვევა როდია, რომ კომიტეტს ფაქტის წინაშე აყენებენ, როცა დასავლეთ ზონებში ქარხნებს სარეპარაციოდ მათი დამტკიცების შემდეგ სპობენ, მოწყობილობას, მათ შორის სამხედრო ქარხნების მოწყობილობასაც, გერმანელები იტაცებენ, ხოლო ზოგიერთი ქარხანა სულაც არ არსებობს. ასეთ მოვლენებს სისტემატური და მასობრივი ხასიათი ექლევა.

საბჭოთა წარმომადგენელმა საკოორდინაციო კომიტეტის ყურადღება მიაპყრო ასეთი მდგომარეობის შეუწყნარებლობას და წინადადება შეიტანა — განსახილველ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებამდე შეიქმნას სპეციალური ოთხმხრივი კომისია, ხსენებული 37 ქარხნის დასათვალიერებლად და საქმის მთელი ვითარების ადგილობრივ გამოსარკვევად.

მაგრამ ეს წინადადება უარჰყვეს საკოორდინაციო კომიტეტის დანარჩენმა წევრებმა, რომლებიც ცდილობდნენ პირველი სიიდან 37 ქარხნის გამორიცხვის მიზეზი იმით აეხსნათ, რომ ამ სიის შედგენისას სხვადასხვა ტექნიკური შეცდომები მოხდა.

მიუხედავად ამისა, საკოორდინაციო კომიტეტმა ხსენებული დოკუმენტი დაუბრუნა ეკონომიურ დირექტორატს და დაავალა ამ უკანასკნელს—წარმოადგინოს სრული ახსნა, თუ რა მიზეზით გახდა საჭირო რეპარაციათა ანგარიშში ამოსაღებად განკუთვნილი ქარხნების პირველი ნაკრები სიის შეცვლა.

შემდეგ საკოორდინაციო კომიტეტმა რეპარაციებისათვის განკუთვნილად გამოაცხადა 20 ქარხანა და ესენის კრუპის ქარხნის 7 საამქრო ამერიკისა და ბრიტანეთის ზონებში.

ავსტრიის ხელშეკრულების შეუთანხმებელი მუხლების განსახილველად შექმნილი ოთხი სახელმწიფოს კომისიაში

ვენა, 14 მაისი. (საკდესი). ავსტრიის ხელშეკრულების შეუთანხმებელი მუხლების განსახილველად შექმნილი ოთხი სახელმწიფოს კომისიის მეორე სხდომა შესდგა გუშინ საბჭოთა დელეგატ კ. ვ. ნოვიკოვის თავმჯდომარეობით.

როგორც გამოირკვა, სხდომაზე გრძელდებოდა ექსპერტების კომიტეტის ამოცანათა განხილვა.

ექსპერტების კომიტეტის მუშაობის წესის საკითხის გარშემო გაჩაღდა დისკუსია, რომლის პროცესშიც, გარდა საბჭოთა დელეგაციის წინადადებისა, წერილობითი წინადადებანი შეიტანეს აგრეთვე ბრიტანეთისა და საფრანგეთის დელეგაციებმა. ამერიკის დელეგაციამ განაცხადა, რომ შესაძლოა უკვე შეტანილ წინადადებათა შესწავლის შემდეგ მანაც შეიტანოს თავისი წინადადება. გადაწყდა, რომ დელეგაციები შეისწავლიან ამ წინადადებებს და 15 მაისს შეიკრიბებიან შემდეგ სხდომაზე.

ბიდოს განცხადება მიტინგზე მარსელში

პარიზი, 13 მაისი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო მარსელიდან გადმოგვცემს, ნაციონალური თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ფრანსუა ბიიუმ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის მიერ მარსელში გამართულ მიტინგზე განაცხადა, რომ რამადიეს მთავრობამ არ შეასრულა თავისი დაპირება — შეემცირებინა ფასები გადაჭარბებულად მაღალი ფასების გადასინჯვისა და მეტისმეტად დიდი მოგების შემცირების პოლიტიკის გატარების გზით. მან რამადიეს მთავრობას ბრალად დასდო მარჯვნივ გადახრა და გააკრიტიკა მისი პოლიტიკა საფრანგეთის კავშირის მიმართ. შემდეგ მან განაცხადა, რომ კომუნისტურმა პარტიამ იცის, როგორ უპასუხოს, თუ გენერალი დე გოლი, რომლის პირველი მიზანიც არის მთავრობაში კომუნისტების არდაშვება, მარსელს ჩამოვიდა პოლიტიკური სიტყვის წარმოსათქმელად.

საბჭოთა კავშირ-კანადის მეგობრობის ნაციონალური საბჭოს კონფერენცია

ოტავა, 13 მაისი. (საკდესი). 10 მაისს ოტავაში დამთავრდა საბჭოთა კავშირ-კანადის მეგობრობის ნაციონალური საბჭოს კონფერენცია. კონფერენციას დაესწრო 200 დელეგატი, რომლებიც წარმოგზავნილი იყვნენ კანადის ყველა დიდ ქალაქში მოქმედი, როგორც რამდენიმე ათეული, ისე ათაათასობით წევრისაგან შემდგარი, სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ. დელეგატთა შორის იყვნენ კანადის ...

... რული ურთიერთობის განვითარებისათვის ფილპოტსმა წინადადება წამოაყენა, რომ განხორციელებულ იქნას მეცნიერულ მიღწევათა, ლიტერატურის, სტუდენტების და სასპორტო გუნდების გაცვლა-გამოცვლა. ფილპოტსმა განაცხადა: ისტორიამ დაგვარწმუნა, რომ საბჭოთა კავშირი ზუსტად ასრულებს თავის გეგმებს და რომ ქვეყნები, რომლებიც საბჭოთა კავშირ...

კანონპროექტი საბერძნეთის კომპარტიის კანონგარეშე გამოცხადების შესახებ

ათენი, 13 მაისი. (საკდესი). პარლამენტის გუშინდელ საღამოს სხდომაზე 21 დეპუტატმა ცალდარისის, გონატასისა და ზერვასის მომხრეთაგან შეიტანა კანონპროექტი კომპარტიის კანონგარეშე გამოცხადების შესახებ.

პრესა ხაზგასმით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ კანონპროექტი შეიტანა დეპუტატების ჯგუფმა და არა მთავრობამ ...

სსრ კავშირის პირველობის გათამაშება ფეხბურთში

„დინამო“ (მოსკოვი)—„ცდკა“ (მოსკოვი)

14 მაისს, მოსკოვში „დინამოს“ სტადიონზე შესდგა სსრ კავშირის პირველობის გათამაშების ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი გუნდები—სსრ კავშირის ჩემპიონი მოსკოვის „ცდკა“ და მოსკოვის „დინამო“.

მატჩის დასაწყისში ორივე გუნდის მოთამაშეები ...

... დედაქალაქის გუნდები „ტორპედო“ და „სპარტაკი“. მატჩი მოიგო „ტორპედომ“ დიდი ანგარიშით—6:2. „ტორპედოს“ გუნდიდან ოთხი ბურთი გაიტანა ა. პონომარიოვმა, ხოლო თითო-თითო პანფილოვმა და შიბილოვმა.

ამავე დღეს ლენინგრადში ადგილობრივმა „ზენიტის“ გუნდმა დაამარცხა კიევის „დინამო“, ანგარიშით—3:2, ხოლო სტალინგრადის „ტრაქტორისა“ და მოსკოვის სამხედრო-საჰაერო ძალების ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრა, რომელიც ჩატარდა სტალინგრადში, დამთავრდა ფრედ—2:2.

ა. გოგოლაშვილი

იუგოსლავია-უნგრეთის სავაჭრო შეთანხმება

ბელგრადი, 13 მაისი. (საკდესი). ...

იუგოსლავიის სამხედრო დელეგაცია გაემგზავრა ბერლინში

ბელგრადი, 13 მაისი. (საკდესი). ...

საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი პრაღაში

პრაღა, 14 მაისი. (საკდესი). ...

იტალიის მთავრობის გადადგომის გამო

რომი, 13 მაისი. (საკდესი). ...

... სოციალისტური პარტიის საპარლამენტო ჯგუფმა და ხელმძღვანელობამ 12 მაისს საღამოს გამოსცეს სპეციალური კომუნიკე, რომელშიც იწონებენ სოციალისტი მინისტრების პოზიციას და აღნიშნავენ, რომ დე გასპერიმ ფაქ...

პარიზი, 13 მაისი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო რომიდან იუწყება, 16 საათსა და 35 წუთზე ადგილობრივი დროით დე გასპერიმ განაცხადა გაკეთა დამფუძნებელ კრებაში მთავრობის გადადგომის შესახებ. რესპუბლიკის პრეზიდენტს ჯერ არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღია. დე გასპერიმ განაცხადა, რომ გადამდგარი მთავრობა განაგრძობს მუშაობას მიმდინარე საქმეებზე. დე გასპერის განცხადების შემდეგ დამფუძნებელი კრების სხდომა შესწყდა.

მთავრობის სკამებზე არ ყოფილან კომუნისტი და სოციალისტი მინისტრები.

სამხედრო წესები ჩრდილოეთ ერაყში

ლონდონი, 13 მაისი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს ბაღდადელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, გუშინ რევანდუზსა და ზახარში (ჩრდილოეთი ერაყი) და ირანის საზღვრების მომიჯნავე რაიონებში შემოიღეს სამხედრო წესები. ყველა სამოქალაქო კანონის მოქმედება შეჩერებულია, და რაიონები სამხედრო კონტროლქვეშ არიან. ერაყის არმიის ჩრდილოეთი ოლქის სარდალს დაეკისრა სრული პასუხისმგებლობა ჩრდილოეთ ერაყში წესრიგის დაცვისათვის.

რეიტერის ცნობით, ვარაუდობენ, რომ სამხედრო წესები შემოღებულია იმასთან დაკავშირებით, რომ ირანიდან ყოველდღე საზღვარზე გადადის ბარზანის ტომის ასობით ქურთი.

მეორე ხუთწლედის სახელმწიფო სესხი

(მეოთხე წლის გამოშვება)

მოგებათა 43-ე ტირაჟის

ოფიციალური ცხრილი

ტირაჟი შესდგა 1947 წლის 10 აპრილს ქალაქ მოსკოვში. მეორე ხუთწლედის სახელმწიფო სესხის 43-ე ტირაჟში (მეოთხე წლის გამოშვება) მოგებანი ხვდათ სესხის [illegible] ყველა 200 თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგების რაოდენობა მანეთობით	სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგების რაოდენობა მანეთობით	სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგების რაოდენობა მანეთობით	სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგების რაოდენობა მანეთობით
00012	13*)	500	04193	13*)	500	08290	35*)	500	13773	38*)	500
00055	32*)	500	04213	22*)	500	08294	44*)	500	13891	25*)	500
00068	37*)	500	04249	1—50	200	08374	18*)	500	14249	16*)	500
00115	43*)	500	04294	04*)	500	08779	1—50	200	14540	1—50	200
00347	32*)	500	04311	39*)	500	08821	50*)	500	14609	17*)	500
00373	04*)	500	04452	20*)	500	08846	12*)	500	14611	18*)	500
00505	27*)	500	04520	24*)	500	08850	1—50	200	14637	14*)	500
00550	47*)	500	04541	44*)	500	08963	1—50	200	14969	34*)	500
00736	1—50	200	04713	46*)	500	09086	30*)	500	15120	47*)	500
00835	02*)	500	04714	39*)	500	09113	38*)	500	15290	21*)	500
00854	21*)	500	04756	45*)	500	09190	27*)	500	15331	1—50	200
01025	11*)	500	04864	05*)	500	09276	15*)	500	15347	09*)	500
01051	32*)	500	04936	1—50	200	09417	1—50	200	15663	42*)	500
01065	16*)	500	04937	1—50	200	09457	26*)	500	15759	22*)	500
01327	32*)	500	04956	1—50	200	09478	48*)	500	15796	17*)	500
01489	1—50	200	05018	50*)	500	09686	02*)	500	15818	11*)	500
01513	06*)	500	05067	27*)	500	09783	1—50	200	15914	01*)	500
01642	25*)	500	05123	47*)	500	09786	25*)	500	16086	17*)	500
01649	32*)	3,000	05153	45*)	500	10069	22*)	500	16446	04*)	500
01766	50*)	500	05184	1—50	200	10135	1—50	200	16496	1—50	200
01848	44*)	500	05205	12*)	500	10254	08*)	500	16842	1—50	200
01898	14*)	500	05208	1—50	200	10361	44*)	500	16961	1—50	150
01914	08*)	500	05222	12*)	500	10378	43*)	500	16974	40*)	500
01919	19*)	500	05258	42*)	500	10388	15*)	500	17033	1—50	200
02099	37*)	500	05487	10*)	500	10389	47*)	500	17073	47*)	500
02262	1—50	200	05505	1—50	150	10537	33*)	500	17121	17*)	500
02307	08*)	500	05569	1—50	150	10613	1—50	200	17159	24*)	500
02334	41*)	500	05672	48*)	500	10642	1—50	200	17192	50*)	500
02365	1—50	200	05675	1—50	200	10680	03*)	500	17630	38*)	500
02526	21*)	500	05757	1—50	200	10858	12*)	500	17691	1—50	200
02549	1—50	200	05845	09*)	500	10936	37*)	500	17874	06*)	500
02571	1—50	200	05877	27*)	500	11024	44*)	500	17894	31*)	500
02576	1—50	200	05946	1—50	200	11088	29*)	500	18183	26*)	500
02617	04*)	500	06048	1—50	150	11236	1—50	200	18260	1—50	200
02652	03*)	500	06143	19*)	500	11272	42*)	500	18370	02*)	500
02654	44*)	500	06235	14*)	500	11419	19*)	500	18535	39*)	1,000
02676	50*)	500	06483	20*)	500	11577	31*)	500	18631	43*)	500
02722	04*)	500	06501	07*)	500	11651	1—50	200	18740	1—50	150
02915	34*)	500	06519	19*)	500	11680	27*)	500	18828	10*)	500
03241	1—50	200	06712	1—50	200	11701	1—50	200	18995	08*)	500
03322	36*)	500	06867	27*)	1,000	11772	43*)	1,000	19070	40*)	500
03451	24*)	500	06890	26*)	1,000	11998	1—50	150	19072	1—50	200
03660	1—50	150	06909	30*)	500	12355	16*)	500	19159	38*)	500
03704	48*)	500	06921	1—50	150	12374	30*)	500	19178	17*)	500
03716	11*)	500	07051	1—50	200	12470	32*)	500	19334	11*)	500
03730	15*)	500	07178	47*)	500	12630	06*)	500	19339	49*)	500
03736	37*)	500	07596	26*)	500	12843	22*)	500	19406	02*)	500
03890	1—50	150	07635	1—50	200	13344	1—50	200	19428	12*)	500
03960	25*)	500	07695	32*)	500	13419	01*)	1,000	19670	10*)	500
03969	27*)	500	07791	39*)	500	13494	46*)	500	19823	14*)	500
04047	1—50	150	07848	20*)	500	13655	26*)	500			
04108	04*)	500	07991	28*)	500	13698	1—50	150	19832	47*)	500

*) ამ სერიის დანარჩენ 49 ნომერ ობლიგაციას ხვდა 150 მანეთი მოგება თითოეულს.

სატირაჟო კომისიის თავმჯდომარე ფ. გ. ბესსონოვი

სატირაჟო კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ა. პ. დუდაკოვი

საქართველოს მოჭადრაკეთა მერვე ჩემპიონატი

საქართველოს მოჭადრაკეთა ჩემპიონატის უკანასკნელ ტურში მაყურებელთა ყურადღების ცენტრში იყო გიორგაძე-სოროკინის და ბლაგიძე-ბუსლაევის შეხვედრა. ამ პარტიის შედეგები სწყვეტდა, თუ ვინ იქნებოდა საქართველოს ჩემპიონი 1947 წელს. ახალგაზრდა მოჭადრაკემ ბუსლაევმა უკანასკნელ ოთხ ტურში ზედიზედ მოიგო ოთხი პარტია, მაგრამ ამჯამად იგი ვერ გაერკვა ბლაგიძის მიერ რამდენადმე თავისებურად გათამაშებულ დებიუტში, უმართებულოდ შეასუსტა ლაზიერის ფრთა და წააგო პაიკი. ბლაგიძემ თანმიმდევრულად გააძლიერა თავისი პოზიცია და გაიმარჯვა. გიორგაძე სოროკინთან თამაშში სარგებლობს ღია ხაზით და სცვლის ფიგურათა უმრავლესობას. მდგომარეობა მარტივდება. სოროკინი, რომელსაც შემოაკლდა დრო მოფიქრებისათვის, თანხმდება გიორგაძის მიერ შეთავაზებულ ყაიმს. ამრიგად, ბლაგიძემ და სოროკინმა ცხრა-ცხრა ქულა დააგროვეს და გაიყვეს პირველი და მეორე ადგილი. ფირცხალავამ ენერგიულად ჩაატარა თავისი პარტია ალამალიანთან და გაიმარჯვა. მალაშხიამ მოუგო ქარსელაძეს, ლონდაძემ—არუთინოვს. გაჩეჩილაძე დამარცხდა შიშოვთან და ფხაკაძე—ცინცაძესთან.

საქართველოს მოჭადრაკეთა ჩემპიონატი დამთავრდა. შეჯიბრების საბოლოო შედეგები ასეთია: პირველ და მეორე ადგილზე გამოვიდნენ ოსტატობის კანდიდატები ბლაგიძე და სოროკინი—9, მესამე, მეოთხე და მეხუთე ადგილზე— ფირცხალავა, შიშოვი და მალაშხია—8, შემდეგ ბუსლაევი და ცინცაძე—7½, არუთინოვი და გიორგაძე—6½, ლონდაძე—6, ქარსელაძე—5, ალამალიანი—4, გაჩეჩილაძე—3½ და ფხაკაძე—2½.

ახალგაზრდა პოეტების საღამო

16 მაისს საღამოს, 8 საათზე საქართველოს მხატვართა კლუბში (ფურცელაძის ქ. № 2) შესდგება ახალგაზრდა პოეტების საღამო.

მომხსენებელი ბესარიონ ჟღენტი.

კესხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

17 მაისს, დილის 9 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა მუშაკებისათვის შესდგება სემინარი თემაზე: **„ამხანაგ სტალინის ნაშრომი „ანარქიზმი თუ სოციალიზმი“.**

სემინარს უხელმძღვანელებენ დოცენტი **ლ. გორგილაძე** (ქართულ ენაზე), პროფესორი **ახატიანი** (რუსულ ენაზე).

ლ ე ქ ც ი ა

16 მაისს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის პარტკაბინეტში (25 თებერვლის ქ. № 2) შესდგება ამხ. **რუხაძის** ლექცია ახალგაზრდობისათვის. თემა: **„ვ. ი. ლენინის რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისი“.**

შესვლა თავისუფალია.

თ ე ა ტ რ ე ბ შ ი

16 მაისს: ფალიაშვილის სახელობის—„კარმენ“; რუსთაველის სახელობის—„უდანაშაულო დამნაშავენი“ (აბონემენტი № 1, წარმ. 10); **მარჯანიშვილის სახელობის—„ლალი“; გრიბოედოვის სახელობის—„სტალინგრადიდან დაშორებით“; მუსიკალური კომედიის—„მარიცა“.**

17 მაისს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობა იწვევენ ახალგაზრდა მწერალთა რესპუბლიკურ კონფერენციას.

კონფერენციას შესავალი სიტყვით გახსნის საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ი. ზოდელავა. მოხსენებას თემაზე — „საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების მაღალი იდეურობისათვის“ — გააკეთებს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ს. ჩიქოვანი.

მოსმენილ იქნება ახალგაზრდა მწერლების საკავშირო თათბირის მონაწილის ამხ. რ. მარგიანის ანგარიში. კონფერენციაზე სიტყვებით გამოვლენ ცნობილი ქართველი პოეტები, პროზაიკოსები და კრიტიკოსები, გაზეთებისა და ჟურნალების რედაქტორები და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელი მუშაკები.

კონფერენცია შესდგება მწერალთა კავშირის სხდომათა დარბაზში.

პასუხისმგებელი რედაქტორი **ბ. ნანიტაშვილი**

ლ. პ. ბერიას სახელობის საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აცხადებს, რომ 27 მაისს, დღის 12 საათზე, ინსტიტუტის სააქტო დარბაზში შესდგება სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომა, რომელზეც სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ:

დ. ცხომარია თემაზე: **„ნიადაგისა და მისი ნაყოფიერების შესახებ აკადემიკოს ვ. ვილიამსის მოძღვრების მნიშვნელობა საბჭოთა აგრონომიული მეცნიერების განვითარების საქმეში“.**

ოფიციალური ოპონენტები: სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ი. ჯაში,** სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი **ა. ათანელიშვილი,** სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი **გ. ქეშელაშვილი,** ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი **ს. სიმონგულოვი.**

ვ. მაჭარაშვილი თემაზე: **„ზემოხამგორის მინდვრის ნიადაგების აგროსაწარმოო თვისებები და მათი ცვალებადობა გაკულტურების პროცესებთან დაკავშირებით“.**

ოფიციალური ოპონენტები: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **მ. საბაშვილი,** სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი **გ. ტარასაშვილი.**

თბილისის სახელმწიფო ცირკი

18 მ ა ი ს ს

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის კულტურის ცენტრალური სახლის წარმოდგენა

უ. ჰაჯიბეკოვის

„არშინ მალ-ალან“

(მუსიკალური კომედია 4 მოქმედებად)

დადგმა: **ა. ყურბანოვისა** (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი).

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე. ბილეთები იყიდება.

მეუღლე ნატო, შვილები მერი, ვენერა, და ქსენია, ძმა ალექსი ოჯახით იუწყებიან **შალვა ილიას-ძე გურასპაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 17-V გორში, 25 თებერვლის, 14.

დედა მარიამი, დები ტერეზია, პელო, ძმები სოლომონ, გიორგი, დავით, ნოე, ოჯახებით შვილი გურამ იუწყებიან **კატო მიხეილის ასულ რიკრიკაძე-ჭოლაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 17-V ოფშკვითში.

შვილები თამარ, მარო, ტერენტი, კლიმენტი, რძალი შურა, სიძე მამანტი რაფავა შვილებით იუწყებიან **ტასია ხუბულავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 18-V ქ. ზუგდიდში.

გიორგი და ალექსანდრე ზარიძეები, ალექსანდრე, შალვა, ნიკო, აკაკი გოცირიძეები ოჯახებით იუწყებიან **ილია ნიკოლოზის-ძე გოცირიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 17-V სილნალში.

რუბენ და ლევან ზუბიაშვილები ოჯახებით იუწყებიან დედის **ეკატერინე იოსების ასულ ზუბიაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 16-V, 7 ს. გამოსვენება 17-V, 5½ ს. ტელინსკის, 59.

ლება, ქეთო და ოთარ ჭელიძეები იუწყებიან **ავთანდილ მიხეილის-ძე ჭელიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 18-V, 5 ს. პლეხანოვის, 69.

მეუღლე კატო, შვილი თენგიზ იუწყებიან **სიმონ ბართლომეს-ძე გოშაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 16-V, 6 ს. პირველი რიგის, 7 (ვაკე).

სერგო (ცორა) პერტაია ოჯახით იუწყება დედის **შუშანა თეიმურაზის ასულ კვარაცხელია-პერტაიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 17-V ლეწერწუმეში (ჩხოროწყუს რაიონი).

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3.08.67, სამდივნოს—3.06.88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3.82.05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3.81.84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3.73.24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3.80.83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3.80.84, მორიგისა და გამომშვების — 3.81.65, გამომცემლობის — 3.51.81, სტამბის დირექტორის—3.77.70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000 უე 00177